სამშაბათი, 1918 წ. მარიამობისთვის 13 № 159

წელიწადი მეოთხე

სამშაბათი 1918 წ. მარიამობისთვის 13 № 156

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა იყოს აღნიშნული ავტორის გვარი და მისამართი. უჰონორაროდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

ქ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერის ფასი: წინდაწინ სამი თვით და [illegible]—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. [illegible] განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება [illegible] 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 8 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

„საქართველოს" კონტორისაგან

ქაღალდის გაძვირებამ და ასოთ-ამწყობთა ახალ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ „საქართველოს" გამომცემლობა აიძულა კიდევ მოუმატოს გაზეთს ფასი.

10 მარიამობისთვიდან გაზეთი საქართველო ეღირება:

სამი თვით 25 მანეთი

ერთი თვით 10 მანეთი

ცალკე ნომერი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ.

რკინის გზის სადგურებზე 60 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქ. პეტ.—60 კაპ. მეოთხე გვერდზე—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა—3 მანეთი.

ღრმად დამწუხრებული შვილები: პეტრე, ეკატერინე და ალექსანდრა ნიკოლოზის ასული პავლოვები, ტიმოთე, ივანე და ელისაბედ ნიკოლოზის ასული ჩმიროვები შვილებით, მღვ. ალექსი სამადაშვილი ცოლშვილით, ნადეჟდა ბესარიონის ასული [illegible] და მარიამ ბესარიონის ასული ფერაძისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 10 მარიამობისთვეს საღამოს 8 ს. ს. საათზე, გარდაიცვალა პირველთა დედა, მეორეთა სიდედრი და დეიდა და მესამეთა და

პელაგია ბესარიონის ასული

პავლოვისა

პანაშვიდები საღამოს 7 საათზე (ახალ დროით) გამოსვენება 13 აგვისტოს დილის 10 საათზე. კუკიის ნიკოლოზის ეკლესიაში. ბინიდგან, [illegible] ქ. № 19 დასაფლავება იქნება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1—1

ამ დღეებში იხსნება

კაფე რესტორანი

CAFE DE E'OPERA

სახაზინო თეატრის სკვერში.

10 პროცენტი წმინდა შემოსავალი გადაეცემა განათლებას.

კაფე უმასპინძლდება საუზმით, სადილით და ვახშმით. დაუკრავენ სიმებიან ორკესტრს, იქნება პლასტიკური ცეკვა. კაფე ღიაა დილის 9 საათიდან საღამოს 1 საათამდის.

3—1733—2

ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

მოკლე ხანში საზღვარგარეთ მიემგზავრებიან წარმომადგენლობისა და ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცხადებს რომ ვისაც სურს რისამე დაბარება სხვა და სხვა ქარხნების მოსაწყობად, საჭირო ცნობების შეკრება ან სხვა და სხვა საქონლის ყიდვის შესახებ, ესტუმრეთ მობრძანდნენ საბჭოს ბინაზე ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით) და დაწვრილებით [illegible]. მისამართი: ქ. თბილისი, ფრეილინის ქ. 11, ტელეფონი 9—18.

ლატარია

აგარაკ ქვიშხეთში საუკეთესო კარმიდამოს ჩამონაჭერი 300 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, აღნიშნული ცალკე პლანზე და დეკრეტის მხრივ ყოვლად უდავო. მომგებს შეუძლიან რა დროსაც სურს დაიმტკიცოს.

ლატარიის ბილეთები სულ ათას ორმოცდა ათი (1050) ცალია. ბილეთი ღირს 20 მანეთი. ბილეთების წიგნაკები კერძო პირებს აქვს დარიგებული გასასყიდათ. უკვე გასყიდულის წიგნაკების ფული უნდა ჩაიბარონ ლატარიის ფულის ხაზინადარს გიორგი [illegible] (ნოტარიუსი, ერევნის მოედანი სასტუმრო „კავკასიის" გვერდზე). როდესაც სულ გაიყიდება ბილეთები, გამოცხადდება დღე ლატარიისა, რომელსაც დაესწრობიან ბილეთების მყიდველნი. იმ დღეს ლატარიას მოაწყობენ ამისათვის საგანგებოთ მოწვეულნი პირნი: ბ.ბ. დავით [illegible]შვილი, პართენ გოთუა და კოტე მაყაშვილი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
ქ. თბილისის კომიტეტი.

ქართულ-გერმანულ კულტურულ საზოგადოების

წევრობა მოვალეობაა ყოველი ქართველი ინტელიგენტისა.

საჭიროა საზოგადოების გაძლიერება წევრთა სიმრავლით და ნივთიერის დახმარებით.

ვისაც სურს და ჯერ კიდევ არ ჩაწერილა, შეუძლია ჩაეწეროს ქართულ-გერმანულ კულტურულ საზოგადოების [illegible] ლის ასულთან, ფრეილინის ქ. № 11, ეროვნულ საბჭოს ქონებათა სამმართველოში, 9—3 საათ. და გერმანელთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე კირხის ქ. 25 დილის 10—12 ს. და საღამოს 6—8 საათ. 5—5

თბილისი, 13 მარიამობა

ყველა საპარლამენტო ქვეყნებში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ცხოვრება და საქმიანობა ბარომეტრია სახელმწიფოს საზოგადო ცხოვრებისა და [illegible] ძალთა განწყობილებისა. მაგრამ ჩვენში ყველაფერი ანორმალურად ხდება, ვინაიდან თვით შექმნა ჩვენის სახელმწიფოსი შედეგია არა ბუნებრივის ფსიხოლოგიურის და ეკონომიურის განვითარებისა, არამედ გარეშე ობიექტიურ პირობათა დამთხვევისა.

ის პარტია, რომელიც ხელმძღვანელად მოექცა ჩვენს ცხოვრებას—არსებითად და ფორმალურადაც არის რუსეთის პარტია და იგი მთელი თავისი ენერგიით ებრძოდა კიდეც ყოველივე ეროვნულს, რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ. რუსეთთან შედუღებული საქართველოში მისახლე მოქალაქე—[illegible] უდიდესი იდეალი იყო მათი და ისეთი მცნებანი, როგორიც ავტონომია, სეპარაცია, დამოუკიდებლობა ან მოგონებაც კი ჩვენი ტრადიციისა, დაცინვისა და [illegible] ბრძოლის ჯერადა ამას იწვევდა. დღეს დრონი იცვალნენ. „გარემოებამ, როგორც ბოლშევიზმა ხდის თავის [illegible]—სოციალ-დემოკრატები,—აიძულა დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ"; და აი, როდესაც ყველა ქვეყანაში, სადაც არის სალი გონება და გრძნობა სამშობლოსადმი სიყვარულისა, რომელსაც პარტიისაც უნდა იყოს ადამიანი,—ასეთი იძულებითი მდგომარეობა შეიქნება ერთი პარტიისათვის—იგი სტოვებს სახელმწიფოებრივ აპარატს, რომლის ფუნქციები, მაშასადამე, აღარ შეეფერებიან მის მისწრაფებას და იდეას—ჩვენი სოციალ-დემოკრატია სცდილობს მმართველობის ფანდებით და სხვადასხვა უნიადაგო ტრანსფორმაციებით შეუდგეს იდეათა გაყალბება-გაკონტრაბანდებას. აქედან წარმოიდგება ისეთი უცნაური წინააღმდეგობანი, როგორიც ბრძანებაა და „ამბავ-გულობა", სიყვარულია და „შეთანხმება", ინტერნაციონალიზაცია და ნაციონალიზაცია და სხვადასხვა, რასაც უკუ-აგდებენ და ყოველ ფეხის გადადგმაზედ „იმპერიალიზმს" და შმიტადამ მდგომარეობაც. მაგრამ ამ უბედურებიდან თუ ყოველი პარტია გამოსავალს იპოვნებს პირდაპირს სიყვარულში სამშობლოსადმი, სოციალ-დემოკრატია სცდილობს იპოვოს გამოსავალი სოფისტურ თვალთმაქცობაში, სიტყვიერ ხელოვნებაში და ამით გაამართლოს თავისი უნიადაგო პრეტენზია სახელმწიფოებრივ ალმშენებლობისათვის. ჩვენი ცხოვრება ამის მაჩვენებელია და ბრალი ჩვენი სამშობლოსი, რომ ძალად ხელში ჩაგდებული უფლება გამოყენებულია არა მის სასარგებლოდ ეკიდურესობამდე, არამედ მხოლოდ პარტიის გაძლიერებისა და ვიწრო, ეგოისტური მიზნებისათვის.

შეუსრულებელი დადგენილება

რუს-კადეტების გაზეთი „ნაროდნაია სვობოდა" სისტემატიური გამოსვლისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და აგრეთვე სხვა და სხვა ეროვნებათა ერთი მეორეზე წაქეზებისათვის მთავრობის დადგენილებით დაიხურა.

სწორედ თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციამ შეკითხვა შეიტანა ეროვნულ საბჭოში თბილისის რუსულ გაზეთების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევის შესახებ. მთავრობამ და საბჭოს მთელმა სოციალისტურმა სექტორმა დიდი სამდურავი გამოუცხადა ინტერპელიანტებს და ერთხმად დაადასტურეს, რომ არავითარ აგიტაციას საქართველოს წინააღმდეგ ადგილი არ ჰქონია და „კონტრ-რევოლუციონერ" ეროვნულ-დემოკრატებს მხოლოდ არეულ-დარევის და შფოთების გამოწვევა ჰსურთ. პირიქით,—მთავრობა და მისი ამყოლ-დამყოლი სოციალისტური ბლოკი ამტკიცებდა, რომ თვით ნაციონალ-დემოკრატები ძირს უთხრიან საქართველოს სუვერენობას და აშკარად ჰღალატობენ სამშობლოსა. როგორც ყოველთვის, ეროვნული საბჭო დაკმაყოფილდა მთავრობის განმარტებით და უარ-ჰყო „კონტრ-რევოლუციონური" შეკითხვა.

დღეს კი ვკითხულობთ მთავრობის განკარგულებაში, რომ ზემოხსენებული გაზეთი იხურება „საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ სისტემატიურ (ხაზი ჩვენია) გამოსვლისათვის".

ამ შენიშვნაში ჩვენ ის კი არ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მთავრობამ, [illegible], მაგრამ მაინც ყურად იღო ჩვენი ფრაქციის გაფრთხილება და უპასუხისმგებლო ხალხს სახელმწიფოსთვის დამღუპველ აზრების გავრცელების საშუალება მოუსპო. მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ შემდეგს გარემოებას: კადეტების ბიუროს კარებზე გამოკრულია ასეთი განცხადება: „По распоряженію Министра Внутреннихъ дѣлъ Грузинской Демократической Республики (ინტერპელაცია ვიცოდეთ, სხვა კიდევ რომელ მთავრობას შეუძლიან გასცეს ანალოგიური ბრძანება თბილისში?) закрыта газета „Народная Свобода". Завтра выйдетъ № 1 газеты „Свободный Народъ"." მთავრობის ოფიციალური გაზეთი გვამცნობდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილება დახურულ გაზეთის ქაღალდის და ასოების რეკვიზიცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ქვეყანას „ვეღარ" [illegible] და [illegible] გაზეთის პირდაპირი [illegible]. მეჭედვით სიტყვის თავისუფლებას ჩვენ ვიცავთ, როგორც ერთ-ერთ საშუალებას კულტურის და მოქალაქეობრივობის ზრდისა და განვითარებისათვის, მაგრამ სახელმწიფოს დამღუპველ მოღალატეებს ამ უფლებით სარგებლობას ვერ დავანებებთ. გაზეთის დახურვის მოტივი სხვა და სხვანაირია, და აბისდამიხედვით, შესაფერ ზომებს: პასუხის გებაში მიცემას, დროებით დახურვას და სხვ, მაგრამ ის მოტივი, რომლითაც დაიხურა „ნაროდნაია სვობოდა" მთავრობას აძლევდა სრულებით მოესპო მისი შემდგომი გამოსვლა, თუნდაც გამოეცვლა mutatis mutandis მიმართულება ამ რედაქციას ან [illegible] ფირმის ქვეშ.

არა გვგონია ეს ინციდენტი ხელს უწყობდეს ჩვენი სახელმწიფოებრივობის განმტკიცებას.

ეროვნული საბჭო

9 აგვისტოს სხდომა

ტუსაღების გაუსამართლებლად დახვრეტა.

იუსტიციის მინისტრი

გაბაშვილის საპასუხოთ მეორეთ ადის ტრიბუნაზედ იუსტიციის მინისტრი შალვა მესხიშვილი: პირველი ჩემი პასუხი შეეხებოდა მხოლოდ შეკითხვისა, რადგან აქ არ ვაპირებდი კამათს და იმ საკითხებს, რომელნიც გაბაშვილმა აღძრა, პასუხს გავცემ მაშინ, როდესაც აქ მოკლე ხანში განიხილევენ კანონპროექტებს სასამართლოს შესახებ.

გაბაშვილის მიერ მოყვანილი ფაქტები სრული სიმართლეა.

ის ფაქტები, რომელნიც აქ საბჭოს წევრმა გაბაშვილმა მოიყვანა მე უნდა ვაღიარო, რომ სავსებით მართალია. ფოთიდან დაწყებული, თბილისამდი დაარსებულია ასეთ თვითონვე ტრიბუნალები, სადაც სწარმოებს ისეთი სამართალი, რომელიც ყოველივე კანონიერების გარეშე სდგას. ასევე მართალია გორის ტრიბუნალის ამბავი, რომელიც გაბაშვილმა დაასახელა, ეს იყო ოფიცერ ბარსუკოვის საქმე და ამის შესახებ გამოძიება სწარმოებს მე ისიც ვიცი რომ ამ ტრიბუნალებში მსაჯულობდნენ ორჯერ უფლება აყრილი პირები.

ტრიბუნალში ტუსაღებს ამათრახებენ

მე კიდევ მეტს გეტყვით: გაბაშვილმა სთქვა, რომ ტრიბუნალებში ტუსაღებს უკანონოთ ასამართლებენ; ბატონებო! მათ არამც თუ ასამართლებენ, ამათრახებენ კიდეც.

მე ვებრძვი ტრიბუნალებს.

ამ ბოროტებას, არამც თუ თქვენ, მეც ვერ ვურიგდები და ამ მიზნით უკვე შევიტანე სათანადო კანონპროექტი, რომელიც, მაქვს იმედი, მალე იქნება განხილული.

რ. ინგილო (ადგილიდან): მანამდის?

შ. მესხიშვილი: სანამ ძალა შემწევს მე ვებრძვი ამ ტრიბუნალებს და ვაგროვებ მასალებს, რომ სამართალში მივცე ისინი.

[illegible] ფუძებრივ ნიადაგზედ

როდესაც ვუპასუხებდი საბჭოს წევრს ჩიქოვანს, მე ვსთქვი, რომ მე შემიძლია პასუხი ვაგო ტუსაღის გაუსამართლებლად დაჭერის შესახებ, თუ ადმინისტრაციის მიერ, იგი ჩემს უწყებაზედ არის გადმოცემული, მაგრამ მე არ შემიძლია პასუხი ვაგო მაშინ, როცა ჩემს უწყების გარეშე მდგომი ორგანოები ამ ტუსაღებს თვითვე ასამართლებენ.

სასამართლოს წესიერ საფუძველზედ დამყარება შეუძლებელია, თუ ადმინისტრაცია არ სდგას სახელმწიფოებრივ ნიადაგზედ. ჩემს სამინისტროში 500-მდე თხოვნაა დაგროვილი იმ პირთა რომელთა საქმენი სასამართლოში განხილულა, სათანადო განაჩენები გამოტანილა, ხოლო სისრულეში არ არიან მოყვანილი, მისთვის რომ ადმინისტრაციის ორგანოები არ ემორჩილებიან ამ განაჩენებს.

საშინაო საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი

იუსტიციის მინისტრს, კათედრაზე საშინაო საქმეთა მინისტრი სცვლის.

შეკითხვის აზრი

ამ შეკითხვას ქონდა მხოლოდ ერთი აზრი, რომ ეჩვენებინა ხალხისთვის, თუ როგორი თვითნებობით ხდება ტუსაღების გასამართლება და მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ ბოროტ მოქმედებას.

ჩიქოვანი პასუხის გებაში უნდა მიეცეს

შეკითხვის ავტორს არავითარი საბუთები არ წარმოუდგენია. მან სთქვა: თუ მაგალითი ვიცი, რომელშიაც მას ყურადღება არ მიუქცევია.

ჩიქოვანი. (ადგილიდან) მე ეგრე არ მითქვამს.

რამიშვილი. თუ მან იცოდა და არ გამოხსნა, მე როგორც საშინაო საქმეთა მინისტრი ვაცხადებ რომ თვით საბჭოს წევრი ჩიქოვანი უნდა იქნას სამართალში მიცემული.

ხმები ადგილებიდან. რატომ?

რამიშვილი. მან ერთმაში მაინც უნდა აგოს პასუხი: მკვლელობა მის თვალწინ მომხდარა და მან ეს დღემდე დაუმალია. რადგან ყოველ საბჭოს წევრს აქვს საშუალება, ესეთი ამბავი დაუყონებლივ აცნობოს მთავრობას.

ჩიქოვანი (ადგილიდან) მე მილიციაში არ ვმსახურებ.

საბჭოს წევრმა უნდა იცოდეს თავისი მოვალეობა

რამიშვილი. როცა ამას ამბობს ჩიქოვანი, მე შემიძლია ვიფიქრო, რადიკალ-დემოკრატიულმა პარტიამ არ იცის, რომ მისი წარმომადგენელი არის დემოკრატიულ რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.

საარჩევნო წინასწარი აგიტაცია

აქ წარმოსდგა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი და სთქვა, რომ სადღაც, ვიღაც წიგნაძე დაიჭირესო. მე ვეკითხები მას, ვის განუცხადებია ეს ამბები.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან) ბუნიამ იცის.

რამიშვილი. ეს ფაქტი ჯერ არავის გაუგია.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან), შენია ჩხეკვიშვილმა იცის.

რამიშვილი. ამას, მოქალაქენო, მხოლოდ ერთი აზრი აქვს: ეხლა სწორედ მიდის სოფლად არჩევნები და ესეთი საშუალებით აწარმოებს ნაციონალ-დემოკრატიული პარტია საარჩევნო აგიტაციას.

ჩიქოვანი (ადგილიდან) ეს კინკლაობაა!

რამიშვილი. ღირს, კინკლაობა მისთვის, რომ თქვენ დაუკარგოთ შეკითხვას სახელმწიფოებრივი ხასიათი.

მთავრობამ აქ დასახელებული ფაქტები არ იცოდა

სახელმწიფოებრივი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელნი შეეცადნენ გაეფართოვებინათ ჩიქოვანის შეკითხვა და ისეთი ფაქტები მოიყვანეს, რომელთაც მათის აზრით მთავრობისთვის სახელი უნდა გაეტეხათ. მაგრამ მე ვაცხადებ რომ მთავრობამ ეს ფაქტები არ იცოდა.

რ. გაბაშვილი (ადგილიდან): არც იუსტიციის მინისტრმა?

რამიშვილი: იუსტიციის მინისტრმა აქ უკვე სთქვა და მთავრობის სახელით მე ვიმეორებ, რომ მთავრობამ არაფერი არ იცოდა.

გარდამავალი ხანა.

შეკითხვის ავტორმა არავითარი საბუთები არ მოიყვანა, ხოლო ნაც.-დემოკრატების წარმომადგენელნი მხოლოდ სარევოლუციო ტრიბუნალებს შეეხო. მე უნდა განვაცხადო, რომ ტრიბუნალები არის გარდამავალის ხანის დაწესებულება.

რ. გაბაშვილი. (ადგილიდან) როდის და გადავა ეს ხანა.

რამიშვილი: ვიდრე ეს არის გარდამავალი ხანა. მიტომ რომ დიდი რევოლუციის შემდეგ მხოლოდ ეხლა გვეძლევა საშუალება დავიწყოთ სახელმწიფოებრივი მუშაობა. ეს მთავრობა სულ 2 ნახ. თვეა რაც მოქმედებს და ამ ხანში მას არ შეეძლო ყველაფრის მოწყობა.

ტრიბუნალების ღვაწლი.

ტრიბუნალები წარმოიშვა ომის დროს და შეიძლება ერთი, ან ორი შეცდომა ყოფილიყო მის მოქმედებაში, მაგრამ საერთოდ უნდა ვაღიარო, რომ მას ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის რევოლუციის და დემოკრატიის წინაშე. როცა ჩვეულებრივი პირობები, დაწყნარდება მაშინ შეიძლება შემოიღონ ჩვეულებრივი სასამართლოები, მაგრამ დღეს ეს ორგანიზაცია აუცილებლათ საჭიროა.

კირილე ნინიძე

უკანასკნელად ლაპარაკობს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სახელით კირილე ნინიძე, რომელიც გრძელ ლექციას უკითხავს საბჭოს, თუ რა მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს საპარლამენტო შეკითხვებს და შემდეგ ეხება თვით შეკითხვას.

ეს არის ლომი და არა ძაღლი.

ჩიქოვანმა სთქვა, რომ შეკითხვის შეტანის დროს მას ამოძრავებდა მხოლოდ საქმის ინტერესი, მაგრამ მისი განცხადება მე მაგონებს იმ მხატვარს, რომელმაც თავის სურათს დააწერა: ეს არის ლომი და არა ძაღლი.

დაიკარგა წარმოდგენა უღირსობის შესახებ.

ეს კათედრა გადიქცა სამიტინგო ასპარეზად. თქვენ იცით რომ მძვინვარებს ანარქია, მაგრამ თუ რამდენათ დაიშალა უღირსობის შეგნება, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ იქიდან, რომ თვით საბჭოს წევრმა ყურადღება არ მიაქცია მკვლელობის რვა შემთხვევას და ეხლა მეცხრეს მიაქცია ყურადღება. მე ვამტკიცებ, რომ როდესაც ჩიქოვანი სწერდა შეკითხვას, მან არ იცოდა რას იტყოდა, რადგან მის შეკითხვას 31 ივლისის თარიღი აქვს და თვით მკვლელობა კი მისი სიტყვით 1-ლ აგვისტოს მოხდა.

ჩიქოვანი (ადგილიდან: ტყუილია ეგრე არ არის.

სოციალ-დემოკრატია და წითელი გვარდია.

ნინიძე: შემდეგ მან სთქვა რომ ტუსაღები მიჰყავთ სოციალ-დემოკრატიულ ბიუროში; ეს არ არის მართალი, რადგან იქ არის გვარდიის შტაბის ბიურო.

დ. ვაჩნაძე (ადგილიდან): ერთი და იგივეა.

ნინიძე: სულ ერთი არ არის: გვარდია დაკანონებულია საბჭოს მიერ, მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ წინააღმდეგი იყავით.

შეკითხვით რევოლუციას უნდა მიმართოთ.

ტრიბუნალები არიან რევოლუციონური დაწესებულებანი და რევოლუციას ემსახურებიან და თუ შეკითხვა გსურთ, შეეკითხეთ რევოლუციას და არა მთავრობას. მთავრობა არის სარევოლუციო კანონების დამცველი და ვერც ერთმა ორატორმა ვერ დაამტკიცა, რომ იგი არღვევს ამ კანონებს.

ნაციონალ-დემოკრატებს ბიუროკრატიული წყობილება სწადიათ

ნაც.-დემ. გაბაშვილი და რად.-დემ. ჩიქოვანი ერთმანეთს შეხვდნენ და თავიანთი გულის ნადები გაუზიარეს. რ. გაბაშვილმა სთქვა, რომ მათი ამხანაგის მოკვლა განიზრახესო, მან ტყუილი სთქვა, რომ ის ჩხეიძის სოფლიდან არისო, და თვით ის კაცი კი ვერ დაასახელა.

ხმები ხმა და ხმა ადგილებიდან: ტყუილია. მან დაასახელა პორუჩიკი წიგნაძე.

ნინიძე (დაბნეული ერთხანს ეძებს რა უპასუხოს და განაგრძობს): ესენი წინააღმდეგი არიან რევოლუციონური დაწესებულებების, მისთვის, რომ სწადიათ ბიუროკრატიული რეჟიმის დამყარება. თქვენ სიტყვით ლაპარაკობთ სამართლიანობაზედ, თორემ საქმით ხალხის სუვერენობის წინააღმდეგნა ხართ და ხალხის არჩეულ მთავრობას სახელს უტეხავთ. თქვენ ხართ აშკარა კონტრრევოლუციონერები.

კამათის შეწყვეტა

თავმჯდომარე: შემოსულია წინადადება კამათის შემდეგ სხდომისათვის გადადების შესახებ. ვის სურს ამის შესახებ ლაპარაკი.

მიხეილ მაჩაბლის განცხადება:

სხდომა აუცილებლად საჭიროა რომ გადაიდოს, რადგან მთავრობის წარმომადგენელმა ისეთი ბრალდება წამოაყენა საბჭოს წევრს და სწორედ ამისთვის უნდა მოეცეს საშუალება უთხრათ მთავრობას ის რაც საჭიროა.

სიმონ მდივანი

სხდომის გადადების შესახებ ლაპარაკობს სოც.-ფედ. სიმონ მდივანი: სწორედ იმავე მოსაზრებით, რომელიც საბჭოს წევრმა მაჩაბელმა გამოსთქვა, რომ ორიოდე სიტყვით არ გათავდება ეს კამათი, არამედ დეტალურად განვიხილოთ და ვთქვათ ყველაფერი რაც საჭიროა, წინადადებას [illegible] მე სამშაბათისთვის იყოს გადადებული.

კენჭის ყრა

თავმჯდომარე კენჭს უყრის ამ საკითხს და უმეტესობის დადგენილებით კამათი ჩიქოვანის შეკითხვის შესახებ გადადებულ იქნა სამშაბათისთვის.

ჯარის საკითხი

სხდომის დასასრულს საბჭომ დაადგინა, რომ სამხედრო კომისიამ განიხილოს მთავრობის პროექტი რეგულიარი ჯარის შედგენის შესახებ და თავისი მოსაზრება წარმოადგინოს.

გრიგოლ ვეშაპელის სიტყვა

საჩხერის ოსთა აჯანყების შესახებ*)

შინაგან საქმეთა მინისტრი თავისი პასუხის დროს ყოველთვის ხაზგასმით ამბობს,—მთავრობა [illegible], ეროვნული საბჭოს ყოველი პარტია სახელმწიფოებრივ ნიადაგზე სდგასო! ბატონებო, ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას, რომელსაც ეკუთვნის სახელმწიფო ტერმინოლოგიის შემოღება, აგრეთვე სწამს, ანდა სურს იწამოს, რომ სოციალისტური მთავრობა სდგას აგრეთვე სახელმწიფოებრივ თვალსაზრისზე.

ბატონებო, ამ შეკითხვაზე პასუხი მთავრობამ დააგვიანა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წყალობით, რადგან მათ გაანთავისუფლეს მთავრობა იმ ვალდებულებისაგან, რომ რეგლამენტით მთავრობის პასუხი ერთ კვირაზე მეტი არ უნდა დაიგვიანდეს, მთავრობას სამი დღე მიემატა ამ გადადებით. მაგრამ სწორედ ამ სამ დღეში მე წინდაწინ გავიგე თუ როგორ პასუხს მოგვახსენებდა ბატონი შინაგან საქმეთა მინისტრი.

ქუთაისის გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ დაბეჭდილია შემდეგი განმარტება:

„გუბერნიის კომისარი შეეკითხა მთავრობას, თუ რა მასალები სჭირდებოდა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის შეტანილ შეკითხვაზე საჩხერეში მომხდარ ამბების შესახებ. ამაზედ მთავრობის წარმომადგენელმა [illegible] შემდეგი უპასუხა: შეკითხვა წარმოდგენილია შემდეგი სახით: „შეკითხვა საჩხერის მხარის ოსთა აჯანყების შესახებ: საჩხერის მხარეში აჯანყების მთავარი ბრალი ედება ოსებს. რა ზომებს იღებს მთავრობა, რომ ზემო იმერეთი ისე, როგორც საქართველოს სხვა მხარეები საბოლოოდ უზრუნველყოფილი იქნას ოსთა ამგვარი მოძრაობისაგან. აგრეთვე რა ზომები მიიღო მთავრობამ აჯანყებისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა ზარალის ანაზღაურებისათვის.

გუბერნიის კომისარის პასუხი.

თბილისის შინაგან საქმეთა მინისტრს.

ნაციონალ-დემოკრატების შეკითხვის პირველი მუხლის მიზანია საჩხერის რაიონის ბრალობა გამოიყვანოს ოსების ეროვნულ მოძრაობად, რაც სავსებით სიმართლეს მოკლებულია. ოსები აჯანყებულნი იმავე მოტივებით, როგორც ქართველი. ეს მოტივებია [illegible], შეუგნებლობა და ბოლშევიკების პროვოკაცია. მხოლოდ უფრო გაფართოებით იღებენ მონაწილეობას ამ მოთავეთ [illegible] ბრძოლაში მთავრობის ჯარები და მისი ხელმძღვანელები ერთგვარი სამართლიანობით და საზომით შეხვდნენ როგორც ოსთა, აგრეთვე ქართველ [illegible] კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლებს, ერთგვარი სასტიკი და აწონ-დაწონილი ზომებით შებრძოლნენ მათ, ჯერ დამორჩილდა უფრო ახლო მდებარე სოფლები და შემდეგ შორეულები. ოპერაციები ჯერ არ მოთავებულა, მაგრამ მთავრობას სრული იმედი აქვს, რომ რესპუბლიკის ჯარი და გვარდია შესძლებს დემოკრატიული საქართველოს დაცვას და მისი მტრების ალაგმვას. რაც შეეხება დარბეულ მცხოვრებთა ზარალის ანაზღაურებას, ჯერ მაგაზე ლაპარაკი შეუძლებელია. მხოლოდ სრული სიწყნარის დამყარების შემდეგ შეიძლება ის გამოირკვეს. მთავარი კითხვა ის კი არ არის, ვინაა დარბეული, არამედ ის, თუ რისთვის არის დარბეული და დაზარალებული. მთავრობა ვერ აანაზღაურებს იმ გადამწვარი სახლის მაგიერ მეორეს, რომლიდანაც ბანდები ჩასაფრებულნი ტყვიებით უმასპინძლდებოდნენ რესპუბლიკის დამცველ ჯარებს და გვარდიელებს. მთავრობა ვერ აანაზღაურებს ვერც იმ ზარალს, რაც ოსების ბანდებმა ქართველებს ან და კიდევ ქართველებმა ოსებს მიაყენეს. ამაში ბრალი თვით მეამბოხეთ ედება და პასუხისმგებლობაც მათ დაეკისრება. ნაციონალ-დემოკრატების აზრით, ოსთა ბანდების ყაჩაღობა საერთოთ ოსების ეროვნულ მოძრაობით გამოაცხადეს, რომ ამით ოსები ერთიანათ ქართველებს დაუპირისპირონ, ეროვნული შუღლი უფრო გაამწვავონ. როგორც ხედავთ, ეს მართალი არ არის, ამის დამამტკიცებელი საბუთია საქართველოს რესპუბლიკის სხვა კუთხეებშიაც მომხდარი გამოსვლები, სადაც ნაძირალები და კონტრ-რევოლუციონერები, განურჩევლად ეროვნებისა, ყველგან ერთად ირაზმებიან. ამით [illegible] დემოკრ. საქართველოს მთავრობა ეყრდნობა ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერების დემოკრატიაზე და ესაა ერთადერთი საბუთი ჩვენი [illegible] საშინაო პოლიტიკისა. მეორე დაფარული მოსაზრება შეკითხვისა არის ხაზის გასმა მთავრობის სიუძლურისა, რომ აქედან შემდეგ შესაფერი დასკვნა გამოიყვანონ ეროვნულმა დემოკ. გარეშე ძალის შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ „ამბოხების“ ჩასაქრობად. ეს მათი მიზანია სხვა უფრო ღრმა მოსაზრებით გამოწვეული, მაგრამ საქართველოს დემოკრატიამ დაამტკიცა, რომ ეს დასკვნა უსაფუძვლოა და ყოველ შემთხვევაში ძალიან ნაადრევი. მთავრობა დემოკრატიის მიერ ზურგგამაგრებული შესძლებს თავისი ძალებით რესპუბლიკის და დემოკრატიის მტრების ალაგმვას“.

სხვათა შორის, როცა ბატონი კომისარი ასეთს რეპლიკას სწერდა ქუთაისში უკვე ჩასული იყო გერმანული ეშელონი...

როგორც ხედავთ, ჩვენ გვაქვს საქმე ძალიან ჭკუამახვილ გუბერნატორთან: ბატონ ბენია ჩხიკვიშვილს კარგად დაახსოვრებია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს პრაქტიკა, როცა ახლანდელი ქართველი მინისტრები მაშინდელ ოპოზიციაში იდგნენ და ინტერპელაციით [illegible] მინისტრებს,—და როგორ იხმარებდა მთავრობა მაშინ ადმინისტრაციის „კაზიონი“ რეპორტებს...

ქუთაისის კომისარს დიდი ნიჭი ჰქონია მოწინააღმდეგე პარტიების „საიდუმლო“ მიზნის გაგებისა, იმედია, ეს ნიჭი დაფასდება და ბატონი ბენია ჩხიკვიშვილი პარლამენტის [illegible] მუშაობას დაუბრუნდება!..

გუბერნიის კომისარი ყოველ არეულობას და აჯანყებას „ბოლშევიკებს“ აწერს... „საწყალი“ ბოლშევიკები! სოციალ-დემოკრატ-მენშევიკებს ერთგვარი პოლიტიკური შკაფი აქვთ სხვა და სხვა ყუთებით და წარწერებით, რაც უნდა მოხდეს, ყოველ მოვლენას ყუთში ჩაიდებენ, ბოლშევიკურ ეტიკეტს და ნომერს მიაკრავენ და დაივიწყებენ. ავიწყდებათ, რომ „ბოლშევიკობა“ მხოლოდ სახელია და საქართველოში ბოლშევიკების საბრძოლველი საქართველოს სახელმწიფოებრივობის მოწინააღმდეგე ერებს ეკუთვნის—რუსებს, სომხებს და ოსებს...

და როცა მე წავიკითხე ქუთაისის გაზეთში კომისარის განმარტება, მე მაშინათვე წარმოვიდგინე, თუ რას გვიპასუხებდა აქ ბ. შინაგან საქმეთა მინისტრი, თუმცა ის კი არ მეგონა, რომ მინისტრი ასე სიტყვა-სიტყვით გაიმეორებდა კომისარის ნაწერს!..

მერე, შეეხება განა ეს პასუხი ფაქტებს? ვილაპარაკოთ თვით ფაქტები—და მხოლოდ ისეთი ფაქტები რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პრესაში იყო გამოქვეყნებული: ამას წინად „ერთობა“ სწერდა დუშეთის აჯანყების გამო:

„...დაპყრობილია მთელი მიწერ-მოწერა, რომელიც ხდის ფარდას ამბოხებას. დანამდვილებით ირკვევა, რომ ეგრედ წოდებული ბოლშევიკები იყვნენ ამ საქმის მოთავენი. კავშირი ჰქონიათ თბილისში. ლტოლვილების საშუალებით. აჯანყების მონაწილენი არიან გარდა ბოლშევიკებისა, ოსების, რუსების და სომხების [illegible]. დაჭერილია მრავალი მოთავენი, (ინტელიგენტები) რომელნიც იარაღით ხელში მეამბოხეთა სათავეში იდგნენ“...

აგრეთვე გაზეთი „Борьба“ სწერდა საჩხერის ამბების გამო:

Во главѣ пришедшихъ осетинъ стояли два интелигента, или скорѣе полуинтеллигента, ибо они производили впечатлѣніе очень мало развитыхъ людей. Это извѣстный офицеръ Харебовъ (убитъ) и студентъ Александръ Джатіевъ, которому удалось бѣжать. Они соблазнили осетинъ перспективой захвата не только Сачхеръ, но и Кутаиса. Они увѣряли свою армію, что противъ нихъ выступаетъ банда наемниковъ дворянства", которую легко будетъ разогнать. Вмѣстѣ съ тѣмъ, они высказывали увѣренность, что Тифлисъ если уже не захваченъ душетскими повстанцами, то будетъ захваченъ на-дняхъ. Они, повидимому должны были осуществить общій планъ завоеванія Грузіи. . . . .

---

*) ნათქვამი შინაგან საქმეთა მინისტრის საპასუხოდ ეროვნულ საბჭოს სხდომაზე, აგვისტოს 2.

. . . .

Осетинъ прибыло около 2,000 человѣкъ, изъ которыхъ лишь человѣкъ 500 были вооружены, остальные же слѣдовали за красной арміей" въ исключительной цѣлью грабежа; каждый изъ нихъ принесъ съ собой мѣшокъ и хурджинъ (переметная сумка) куда онъ предполагалъ уложить награбленное добро отвезти его въ себѣ домой. При вторженіи въ Сачхери а также въ занятыхъ ими селахъ эти „рыцари" легкой наживы успѣли коечѣмъ поживиться: всѣ болѣе или менѣе состоятельные дома были разграблены, пострадало также почти все мѣстное крестьянство съ которымъ пришельцы не очень церемонились. Почти каждую ночь во многихъ крестьянскихъ хижинахъ поднималась тревога, слышались полные ужасовъ крики о помощи: это крестьянки взывали о помощи противъ вторгавшихся къ нимъ.

თვითონ „ერთობის" კორესპონდენტი იუწყებოდა, რომ სამხრის აჯანყებულებმა მთავრობის ჯარს „სახალხო დელეგაცია" გაუგზავნეს და ულტიმატუმი წარუდგინეს: მთავრობის ჯარი დაბრუნდეთო, და ამ დელეგაციის მონაწილე ოსების ნაციონალურ საბჭოს წევრი იყოო.

აქედან ჩანს, თუ ვის ედება მთავარი ბრალი სამხრის აჯანყებისა—და რომ ამ აჯანყებაში ქართველი გლეხობაც ჩაითრიეს, ამას ვინ უარყოფს. შეკითხვის განმარტების დროს აქ მოგახსენეთ ეს და მიზეზიც დავასახელე—აგრარული პროვოკაცია—ოსები ქართველ გლეხებს ატყუებდნენ, მთავრობა კერძო საკუთრებას აუქმებს, ყოველ გლეხს ნასყიდობის ქაღალდებს დაუხევენ და სხვა. ამან შექმნა გლეხებში მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის ნიადაგი და როგორც „მორიგი" ამბობს:

„противъ этой страшной опасности крестьяне взываютъ именно къ старому, николаевскому режиму. Какъ осетины, такъ и грузины не имѣютъ и приблизительнаго представленія о «совѣтской соціалистической власти, они мечтали не о совѣтской, а о старой николаевской власти; они желали возстановленія твердой царской власти".

და განა ყველა ამის შემდეგ ასეთი პასუხი ეკადრება საქართველოს მთავრობას?

ნუ თუ მთავრობას ისე მოსწონს „სტრელნიკოვების" დაჯის სისტემა, რომ ოსურ ეროვნულ საბჭოს წევრების მეთაურობას აჯანყებაში არაფრად აგდებს—ნუ თუ სამართალში არ იქნება მიცემული ორგანიზაცია, რომელმაც ასეთი დიდი პასუხისგება უკისრია როგორც ოსების წინაშე, რომლის ტერიტორიაზე ის იმყოფება, და რომელიც ჯერ კიდევ არ უცვნიათ ოსებს, როგორც ოსების და არა „ოსეთის", რადგან საქართველოში არავითარი „ოსეთი" არ არის. ოსეთი კავკასიონის პირ იქით არის, საქართველოში კი ცხოვრობს რამოდენიმე ხეობაში ოსის ხიზნებით ჩამოსახლებული, რომელთაც არავითარი ტერიტორია არა აქვთ და ვერც მიიღებენ ვერასოდეს.

(დასასრული იქნება)

საპარლამენტო ქრონიკა

რ. გაბაშვილის შეკითხვა.

ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმში შემოვიდა ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვა შემდეგზე; „საქართველოს რკინის გზეზედ მოსამსახურეთა შტატების შემცირება და შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა დათხოვნა უკანონოთ და უწესრიგოთ ხდება.

რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალურ კომიტეტის უკანონო მოქმედებანი სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მრავალ ათას მოსამსახურეთა შორის.

რა ზომებს იღებს რკინის გზათა მინისტრი რომ, 1) ცენტრალურ კომიტეტის უკანონო განკარგულებანი გაუქმებულ იქნენ და 2) რკინის გზის რეორგანიზაცია და შტატების შემცირება სახელმწიფოებრივი წესით მოხდეს.

ეროვნულ დემოკრ. ფრაქციის დავალებით რევაზ გაბაშვილი.

12 აგვისტო.

ეროვნულ საბჭოს წევრის აწიოკება.

10 აგვისტოს, 1918 წ., ტატიანის ქუჩაზე, შემძენელ-გამსაღებელ კოოპერატივთა კავშირის საწყობის ბინაზე, განსაკუთრებულ რაზმის თანამშრომლებმა შეიპყრეს საქარ. ეროვნულ საბჭოს წევრი ალექსანდრე ახმეტელი. მიუხედავად იმისა, რომ ახმეტელმა წარუდგინა მოწმობა საბჭოს წევრობისა, რაზმელებმა არა თუ არავითარი პატივი არ სცეს, სასაცილოდაც აიგდეს და რევოლვერებით დაადგნენ მას, „როდესაც ახმეტელი ფიქრობდა წასვლას. შეპყრობილი მიიყვანეს რაზმის ბინაზე და იქ დაატყვევეს. მას არ მისცეს ტელეფონით ლაპარაკის ნებაც. შემთხვევით შესულმა ამხ. ნ. გმა შეატყობინა კარჩხოს და მან ტელეფონით გაათავისუფლა რაზმის უფროსი. როგორც ახმეტელი გადმოგვცემს, მას რაზმის ბინაზე ძალიან ურცხვად ექცეოდნენ. დღევანდელ მთავრობას არავითარი ზომები არ მიუღია არც დამნაშავეთა დასასჯელად და არც ახმეტელისათვის მიეცა საჭირო პასუხი.

ახმეტელმა ამ საკითხის შესახებ შეკითხვა შეიტანა ეროვნულ საბჭოში.

ეროვ.-დემოკრატიული ფრაქცია

რკინის გზის მოსამსახურეთა დელეგაცია.

ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციას წარუდგა რკინის გზის მოსამსახურეთა დელეგაცია დასავლეთ საქართველოს რკინის გზის მოსამსახურეთა კრებაზე არჩეული.

დელეგაციამ გააცნო ფრაქციის წევრთ, ცენტრალ მოსამსახურეთა კომიტეტის უკანონო განკარგულებანი, შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. მრავალ საჩივართაგან, რომელიც დელეგაციამ წარმოადგინა, ირკვევა, რომ შტატების შემცირება და მოსამსახურეთა დათხოვნა ხდება განსაკუთრებით პარტიული მოსაზრებით. სამსახურში სტოვებენ, ან წარმატებას აძლევენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს და ცენტრალ კომიტეტის წევრთა ნათესავ-მეგობრებს.

ფრაქციამ დელეგაციას ყოველივე დახმარების აღმოჩენა აღუთქვა და დაავალა საბჭოს სარკინიგზო კომისიის წევრს რევაზ გაბაშვილს რომ მან ამ საკითხის შესახებ ეროვნულ საბჭოში შეკითხვა შეიტანოს.

ქრონიკა

თბილისი.

◆ კავკასიის ყოფილ სამხედრო სასამართლოს შენობაში 10 აგვისტოს გაიხსნა პირველი სესია საქართველოს ლაშქრის სამხედრო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. დაესწრო მთავრობის წარმომადგენელი სამხედრო მინისტრი გიორგაძე, ეროვნულ საბჭოს სამხედრო სექციის წევრნი გენერალიტეტი და ჯარის უფროსნი. კრების გახსნის წინ გადახდილ იქმნა პარაკლისი. კრებას თავმჯდომარეობდა პოლკოვნიკი რონიშვილი, სამხედრო მინისტრმა მისალმების სიტყვით მიმართა დამსწრეთ. მოწვეულ პირთ ჩაი მიართვეს.

◆ **დახმარება სტუდენტებს.** განათლების მინისტრმა სთხოვა ქალაქის გამგეობას დახმარება აღმოუჩინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას ღარიბ სტუდენტთათვის თავშესაფრის მოსაწყობად.

◆ **დუშეთის ამბოხების** საგამოძიებო კომისია იტყობინება: დუშეთში სრული სიმშვიდე ჯერ არ დამყარებულა. ადმინისტრაცია შესაფერად ვერ მოქმედობს. ბევრი უდანაშაულოდ დატყვევებული აღმოჩნდა. 48 კაციდან 40 განთავისუფლეს, რადგანაც მათ წინააღმდეგ ბრალდება არ იყო.

◆ **ჟურნალი „ARS"-ი.** თბილისში გამოვიდა მორიგი 2—3 ნომერი რუსული ჟურნალის „Ars"-ი. ჟურნალში მოთავსებულია ლექსები: სერგეი გოროდეცკის, გრიგოლ რობაქიძის, იური დეგენის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ტიციან ტაბიძის, აკმერ სედიკოვის, წერილები: გრიგოლ რობაქიძის, ექვთიმე თაყაიშვილის, დ. გორდეევის, მერიქეთ შეკოვეს, ლაიას და სხვათა. ჟურნალი ღირს 12 მანეთი.

◆ **პურის გაძვირება.** ქუთაისიდან იტყობინებიან, რომ პურის თავისუფალმა ვაჭრობამ შექმნა საშინელი სპეკულიაცია. პური 40 მანეთიდან 160 მან. გაძვირდა ფუთი. თვეში თითო გლეხი 10 ფუთამდის ყიდულობს პურს, მაშასადამე წლიურად თვრამეტი ათასი მანეთი ეხარჯება. ხალხი თურმე დრტვინავს.

ადგილობრივი საკრედიტო ამხანაგობა დღეებში შუამდგომლობს სასურსათო და შინაგან საქმეთა სამინისტროში აჩქარონ მიიღონ ზომები სპეკულიაციის ასალაგმავად თორემ შეიძლება დაგვიანებული შეიქმნეს.

◆ ამ აგვისტოს ქუთაისში რკინის გზის მოსამსახურეთა კრება მოხდა, რომელმაც ერთხმად გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება: გაუქმებულ იქნას რკინის გზის ცენტრალური და ყველა ადგილობრივი კომიტეტები, ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მათს მოქმედებას ზიანის მეტი არა მოუტანია რა სახელმწიფოსათვის. თავის უკანონო გადაწყვეტილებებით ხსენებული კომიტეტები ხელს უწყობენ ანარქიის გაძლიერებას. მათ მიერ შტატის შემცირება გატარებული იყო უკანონოდ, რამაც სამართლიან გულის წყრომა იწვევს რამოდენიმე ათასეულ მუშა მოსამსახურეებში. საჭიროა დროებით შეჩერდეს მთავარი კომიტეტის განკარგულებანი შესახებ მოსამსახურეთა დათხოვნის და მთავრობის მიერ ამ საქმის ისეთნაირად მოწესრიგება, რათა თავიდან აცილებულ იქმნას მოსალოდნელი არა სასურველი ექსცესები. ეს გადაწყვეტილება დეპეშით ეცნობა მთავრობას, ეროვნულ საბჭოს, ყველა ფრაქციების თავმჯდომარეებს და გზათა მინისტრს.

◆ **ქრთამი.** დაიტუსაღეს კაპიტანი კოვალსკი, რომელმაც საქონლის გამცემელ კომიტეტის უფროსს ტრუნოვს 300,000 მ. ქრთამი შესძლია, რომ მისთვის ნება მიეცა აზერბეიჯანში 5 ვაგონი შაქარი და 400 ყუთ. ჩაი გაეზიდა. კოვალსკს უწინაც გაუზიდნია 90,000 ფუთი თამბაქო და 400 ყუთ. ჩაი.

◆ **მეციხოვნე ჯარის უფროსმა** დაიპატიმრა ოსმალეთის 4 ქვეშევრდომი, რომელთაც ოსმალეთის საზღვრად საქართველოდან გადაასახლებენ.

◆ **მარილი.** ფოთში 140,000 ფუთი მარილი ჩამოვიდა. 70 ვაგონი თბილისში გამოგზავნეს.

◆ **მოხსენება მიწის ახალი რეფორმის შესახებ.** ერთობის [illegible] მუშათა კლუბში ოთხშაბათს 14 აგვისტოს ახალი სტილით, საღამოს 7 საათზე, ონიაშვილი გაიკეთებს მოხსენებას მიწის ახალი რეფორმის შესახებ.

◆ **ქართულ გერმანულ კულტურულ** საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა და თანაგრძნობით საყურადღებოთ, რომ კომიტეტის მუშაობა სრულიად დამთავრდა და საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება შესდგება კვირას, 18 აგვისტოს, ს. წ. გასარჩევი საკითხები: 1. პრეზიდიუმის, თავმჯდომარისა და თანაშემწეთა, მდივნებისა და ხაზინადარის არჩევნები. 2. სამეცნიერო, სალიტერატურო და სასკოლო სექციების წევრთა არჩევა. 3. სამოქმედო პროგრამის მთავარი დებულებანი. კრება შესდგება ფრეილინის ქ. № 11, ეროვნულ საბჭოს ყოფილ ბინაზე. და დაიწყება სრულ 11 საათზე იქვე მიიღება წევრთა ჩაწერა.

◆ **ქართულ ტექნიკურ საზოგადოების კრება.** დღეს, 13 აგვისტოს, ფრეილინის ქუჩაზე, № 11, საღამოს 8 ს., შესდგება ქართულ ტექნიკურ საზოგადოების კრება. დღის წეს-რიგი: 1) ინჟ. ვ. კაკაბაძის მოხსენების რეზიუმე და მის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, 2) ინჟ. ივ. ყიფშიძის მოხსენება „ახალი საქართველოს სამთო კანონის ძირითად დებულებათა; 3) მიმდინარე საკითხები.

უცხოეთის ამბები

ომი რუსეთსა და მოკავშირეთა შორის. რუსეთიდან მოსული ცნობებით საბჭოთა მთავრობა ამ ჟამად გერმანელების ნება-სურვილების სრული აღმასრულებელია. გერმანელების მოთხოვნით ბოლშევიკებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს ომი გამოუცხადონ ინგლისელებს, საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადებულია და 20—30 წლოვანებამდე ჯარში იწვევენ. ლენინი 24 ივლისს ბერლინს გაემგზავრა.

რუსეთის ახალი დროებითი მთავრობა. კიევში მოსულ ცნობებს თანახმად პარიზში შემდგარ რუსეთის დროებით მთავრობის შემადგენლობა ასეთია: ა. კერენსკი—მინისტრ თავმჯდომარე, სტახოვიჩი—შინაგან საქმეთა მინისტრი, ტერეშჩენკო—ფინანსებისა, იზვოლსკი—გარეშე საქმეთა, კოლჩაკი—სამხედრო და ხორვატი—საზღვაო. ეს ახალი მთავრობა ამ დღეებში მურმანში მოვა და აქედან გაუწევს ხელმძღვანელობას ბოლშევიკების წინააღმდეგ მომქმედ ძალებს.

შიმშილი მურმანის რკინის გზაზე. სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარმა მიიღო დეპეშა, რომლითაც იტყობინებიან, რომ შიმშილი მურმანის რკინის გზაზე საშინელ ხასიათს ღებულობს. 60 პროცენტი რკინის გზის მოსამსახურეთა შიმშილობისაგან ციებით და სახადით არის ავად.

სამხედრო წესები არხანგელსკში. კომისარ კედროვის ბრძანებით არხანგელსკში სამხედრო წესები გამოცხადდა.

დღეს სააგენტოს ომის დეპეშები არ გადმოუცია

ცხოვრება რას გვიკარნახებს

ჩვენმა დიდმა პოეტმა სთქვა: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა". ამ ნათქვამს ის აზრი აქვს, რომ წარსულში რაც საკეთილდღეოდ არ გამოგვადგება, იგი უკუ უნდა ვაგდოთ, და რაც მომავლისთვისაც არ ივარგებს, არც ის გავიმეოროთ და ისე წავიყვანოთ ჩვენი ცხოვრება, რომ უფრო გონივრული და უფრო კარგი ნაყოფის გამომღები იყოს ჩვენთვის.

რუსის მთავრობის ასი წლის ბატონობამ ქართველის ბუნება ისე მოამართა, რომ თავისთავის პატივსა და სარგებლობას მოხელეობაში ან აფიცრობაში ხედავდა, და რაკი სახელმწიფო სამსახური ერქვა ამას—თავის დანიშნულებადაც ეს დაისახა. თითქმის ყველა შეძლებული ქართველი თავისთავაც აზნაურის და პატრონების მოტრფიალე შეიქმნა და შვილებსაც ეგე ზრდიდა, ან კი როგორ შეეძლო სხვა ნაირად მოქცეულიყო, რაკი რუსების დამორჩილებული სასწავლებლები ისეთები იყვნენ, რომ მხოლოდ მოხელეებისა და აფიცრობის აღზრდას უწყობდნენ ხელს. ამიტომაც არის რომ ამ ჟამად ქართველებს ნახევარი მოხელე და აფიცრები ჰყავს.

ამ ას ჩვიდმეტი წლის განმავლობაში რუსეთისაგან ჩვენთვის მოცემული ბედნიერება ეს არის, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ეხლა, დამოუკიდებელი საქართველოსთვის, საფიქრებლად და საზრუნველად უნდა შეიქნეს, რადგან რუსეთის პოლიტიკის გზას ვერ დაადგება იგი. საქართველოს არც ძველად ჰქონია სხვაზე სხვა ქვეყნების დაპყრობა-დამონებისა და არც ახლა დადგება ამ სიხარბეს—„[illegible] სახელმწიფოდ" არ შეიქმნება. მისი მისწრაფება იქნება—თავისს ბუნებითს საზღვარში მშვიდობიანად ცხოვრება და ამ საზღვრების ხარბ და [illegible] მეზობლებისაგან მედგრად დაცვა.

იმ ქართველთ ჯარისა და მოხელე აფიცრებისა, რაც რუსეთისაგან დარჩა საქართველოს, მეხუთედი ძლივს დასჭირდება მას, მაშ მისი უდიდესი ნაწილი უქმად უნდა დარჩეს? რაც ჯარს გადარჩება, მისი დიდი ნაწილი უმეტესად სოფლის მოსახლეობაა, მეურნე, და ქალაქის წვრილი მოვაჭრენი. ამათი გადარჩენით საქართველო მოგებაშიაც არის, რადგან იგინი თავიანთ ძველ ხელობას და საქმიანობას დაუბრუნდებიან სოფლის მეურნეობას და ვაჭრობა-მრეწველობას, სოფლის ნაწარმოებს გაამრავლებენ, ვაჭრობა-მრეწველობას ხელს შეუწყობენ.

სულ სხვა მდგომარეობაში ვარდება მოხელე-აფიცრობა. ეხლა ყველა ქართველისთვის და თვით მთავრობისთვის საფიქრებელი და საზრუნველი ის ხდება—რა გზა მისცეს ამ უამრავ მოხელეებს და აფიცრობას, რომელნიც ჯარისა და დაწესებულებებს შემოკლების გამო სამსახურს გარეთ დარჩებიან, მათ ცხოვრების სახსარი მოესპობათ. მთავრობა მათ მართალია ლიკვიდაციის ფულს გადუხდის ერთ დროულად და ამის მეტს მათ დახმარებას ხომ ვერ იკისრებს? მაშ თავის საცხოვრებელ გზას იგინი თვითონ უნდა მოუძებნენ, მაგრამ საქმე ის არის—როგორ და რა საშუალებით?

ამ ჟამად სამსახურს გარეთ დარჩენილებმა გადავიდნენ ვაჭრობაზედ უთვალავნი და აქ ამიტომაც ამ ბოლო დროს წვრილი სავაჭროებით აივსო თბილისი. ამასთანავე სავაჭროებს და ამ გამრავლებულებს დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვთ: დრო რომ ჩვეულებრივ ბაზრებზე დადგება, მეტი წილი ამ სავაჭროებისა მოისპობა. სამსახურს გარეშე დარჩენილ ქართველებს ჩვენ ვურჩევთ სააქციონერო საზოგადოებათა დაარსებას ვაჭრობა მრეწველობის ფართოდ და წესიერად წარმოებისათვის.

ამასთანავე საზოგადოებათა და ამხანაგობათა სიმრავლე იმ თავითვე არსებობს ჩვენში, მის დაარსებულებას მოხელეობის მიმდევრობა აფერხებს; ეხლა კი საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც მოხელეობას მიიღებდა, მოხელეების ადგილს ძალა-უნებურად ვაჭრობა-მრეწველობა და სხვა თავისუფალი საქმიანობა დაიჭერს.

ჩვენი ქვეყნის ბუნებითი სიმდიდრე თავისუფალ საქმიანობას და ვაჭრობა-მრეწველობას უკარნახებს ყველას და მეტადრე იმათ, ვინც ამჟამს მოხელეობას მოშორდება. ბევრი რამ გვაქვს საწარმოებელი და ბევრი წარმოებაც გასაუმჯობესებელი და რომ იმას შევუდგეთ და ვაკეთოთ, ეგება მადლიანი და ყოველმხრივ სასარგებლო შრომა არ იქნება? სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის რომ შევუძღვეთ და შესაფერს ღონეზედ დავაყენოთ, ჩვენს ბამბას, მატყლს, აბრეშუმს, თამბაქოს წარმოებას რომ მივუმატოთ, ჩარხი—ქარხნები რომ თავიდამ მოვიწყოთ, რაც ჩვენთვის და მეზობლებისთვის აქვე დავამუშაოთ; ბაღისა და ბოსტნის ნაწარმოები, დაფნის ფოთოლი და სხვ. მადნეულობა შევამუშაოთ და ყველა ამ მასალებიდან ლამაზობით შემზადებული საქონელი გავიტანოთ შინა და გარე ბაზარში. ხომ სარგებლობას მოუტანს ერთ მწარმოებელსაც, მომხმარებელსაც და სახელმწიფოსაც. რაც გარედან შემოდის ჩვენს ქვეყანაში შუშეული, სამკურნალო იარაღები და სხვა ტექნიკური ნაწარმოები და მრავალი კიდევ სხვაც, ცხოვრებაში საჭირო ნივთი—ყველა ეს საგნები აქვე შინ ჩვენი შრომით და გარჯილობით შეიძლება დამზადდეს; ჩვენი ქვეყნის ბუნება ამისთვის ყველა მასალას მოგვცემს, ხოლო ამ მასალის მოსაყვანად და შესამუშავებლად საქმე ხალხი და საჭირო ცოდნა ეს მოსახერხებელი უნდა მოგვცეს: ეხლა—უსაქმოდ დარჩენილმა მოხელეობამ, ხოლო მომავალში იმ წოდებამ, საიდანაც ეს მოხელეობა გამოდიოდა. ეხლა მოხელეობას დასჭირდება უცხო ცოდნის [illegible] მარის საქმეში, მომავალში კი ამ ცოდნის შეძენას [illegible] მრავლად დაფუძნებული შესაფერი სასწავლებლები მისცემენ.

ყველა ამხანაგობა, რომლის დაარსებასაც კი ეხლა უსაქმოდ დარჩენილი მოხელეები შეიძლებენ, უეჭველად დიდ სარგებლობას მოუტანს მათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი საქმე აქვს ეხლა საქართველოს, ხოლო მოსაქმე-მომქმედი ესაჭიროება.

აქ ერთ დიდ მომხმარებელზედ მიუთითებ მომავალ ნამოხელართა ამხანაგობას. ეს არის ქართველი ჯარი. სამხედრო უწყებას მის შესანახად სჭირდება: ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, სურსათი, საკვები; ხოლო ამათ დასამზადებლად: ფეხსაცმლის სახელოსნო, ფართლეულის და შალეულის საფეიქრო, ტანსაცმლის სამკერვალო, სათერძო,—ჩვენი აზრით ჯარის ტანისამოსი ჩვენებური შალისა უნდა იყოს და უთუოდ ჭრელისა.

ქართულ საქმიანობას ფართო ასპარეზი ეშლება წინ განახლებულ საქართველოში. მრავალი საქმეა საკეთებელი და ის ლეგიონი მოხელე-ოფიცრობა, ეხლა რომ დროის მოთხოვნილებით, გარიყულად რჩება, დიდს სარგებლობას მოუტანს თავის თავსაც და სამშობლოსაც, თუ იგი ვაჭრობა-მრეწველობის საქმიანობას ხელს მოჰკიდებს და სხვა და სხვა გზით დაგროვილ პატარა კაპიტალებს შეაერთებს და ამ თანხით სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობებს დააწესებს. ეს ხელს შეუწყობს როგორც ხსენებულ ინტელიგენტთა პირად კეთილდღეობას, ისე ჩვენი ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას და გაფართოებას.

თავისუფალი მეთვალყურე

შავი ქვის მრეწველთა კრება ჭიათურაში

პირველ მარიამობისთვეს ქ. ჭიათურის საზოგადო საკრებულოში მოხდა არა ჩვეულებრივი კრება მრეწველებისა. მიზანი კრების მოწვევისა ის მწვავე საკითხები იყო, რომელნიც წამოყენებულია ამ შავი ქვის წარმოების გარშემო.

კრების თავჯდომარე ბ. ს. წერეთელმა გააცნო დამსწრეთ მორიგი განსარჩევი საკითხები: 1; ჭიათურის რკინის გზაზედ შავი ქვის გადასატან ტარიფის გადიდება 44% პროცენტით. 2; ნაციონალიზაცია საქართველოს ტერიტორიის მადნეულებისა და კერძოდ შავი-ქვისა. 3; აუცილებელი მოვალეობა სიეზდისა რომ მან წარმომადგენელი იყოლიოს ქალაქ თბილისში როგორც დაინტერესებული პირი ქვის მრეწველობისა და სხვა.

ჭიათურის რკინის გზაზედ შავი ქვის ტარიფის გადიდებას კამათი არ გამოუწვევია, პირ იქით საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება, დადგენილ იქმნა, რომ შავი ქვის გადატანის ფასი გადიდდეს ორმოცდა ოთხ კაპეიკამდე, მით უმეტეს, რომ ფუთი ქვა დღეს ფასობს სამ მანეთ ნახევარზედ მეტს, ხოლო კრებამ უფლება დაიტოვა რომ თუ ეს გადასახადი მრეწველობას მძიმედ დააწვება, ნება ჰქონდეს მისი დაკლებისაც.

გაურკვეველი პირობები შექმნა მადნის ნაციონალიზაციის საკითხმა, კამათი გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ ნაციონალიზაციის შესახებ და პირველ შეხედვით ამ განკარგულების ძალიან ცოტა მომხრენიც აღმოჩნდნენ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდგან ქართველი საზოგადოების მხოლოთ ერთი ნაწილი ამ საკითხს ღინჯად და მოსაზრებულად შეხედა. რაც შეეხება უცხო ტომის მრეწველებს, მათ-ხომ თავზარი დასცა შავი ქვის ნაციონალიზაციის გამოცხადებამ.

აღძრულ საკითხს შეეხო აგრეთვე, მრეწველი ბ-ნი ი. ყარამანიშვილი. მან საკითხი შავი ქვის მრეწველობის ნაციონალიზაციისა არც ისე საშიშოდ აღიარა, როგორც სხვა ორატორებმა. ამგვარი განკარგულებებს, სთქვა ორატორმა, ადგილი ჰქონია უფრო კულტურიან ევროპის სახელმწიფოებში. და დარწმუნებული უნდა ვიყოთ რომ ჩვენშიაც ეს კანონი არც ერთ მეწარმოებლისათვის საზარალო არ აღმოჩნდება- პირ იქით, რა გვარი ხასიათისაც უნდა იყოს ეს ნაციონალიზაცია, იგი ხელს შეუწყობს წარმოებას და მის მკვიდრ ნიადაგზედ დაყენებას. ჩვენ „სიეზდისაგან" დავალებული გვქონდა გვეშუამდგომლა მთავრობაში და ახლაც მოვითხოვთ ამ კრებისაგან რომ მან მოგვცეს ჩვენ გარკვეული დირექტივებით. დასასრულ ორატორი შეეხო წინასწარ დადებულ ხელშეკრულებას გერმანელებთან და სამართლიანად დაასკვნა, რომ შავი ქვის წარმოებას ამ ხელშეკრულებასთან ნათესაური კავშირი აქვს და იგი ერთგვარი გარანტია იყო საქართველოს საზღვრების უზრუნველ საყოფადო. საზოგადოთ ყველა ორატორების აზრით ამ საკითხის გადაჭრას ესაჭიროება უფრო დაფიქრებული მსჯელობა.

შემდეგ კრებამ დაადგინა ეთხოვოს მთავრობას, რომ კონცესია ი. ვარაზაშვილისა და ავდეევისა ჭიათურის ხევენებში რკინის გზის გაყვანისა დაჩქარებით გაიცეს.

ვალ. ქავთარაძე.

კორესპონდენცია

ს. თიანეთი.

ხევსურეთი და თუშეთი განსაცდელშია.

ხევსურეთიდან და თუშეთიდან ძალიან ცუდი ამბები მოდის, ქისტების ლაშქარი მოსწოლია საზღვარს და დაცემას უპირობს, რის გამოც საზოგადოდ მთაში ასული თუშები აყრილან და უკანვე ბრუნდებიან. პირიქით ხევსურეთს, არღუნის საზოგადოებას დასცემიან, შეუნიათ ხანგრძლივი სროლა და რადგანაც ხევსურები სუსტად ყოფილან შეიარაღებულნი, დამარცხებულან. ქისტებს გაურეკიათ შვიდასამდე ცხვარი და ორმოცამდე ხარ ძროხა. როგორც თუშები, ისე ხევსურები, თხოულობენ საჩქარო დახმარებას ხალხითა და იარაღით. ადრეიდგე დახმარებას თხოულობენ ხევსურები არდოტის საზოგადოებისა, რომლებსაც რამდენჯერმე ჰქონდათ შეტაკება ქისტებთან. არა აქვთ სამყოფი იარაღი და ტყვია-წამალი, რაიცა მოითხოვს საჩქარო დახმარებას.

აქაური ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა შეიძლება ითქვას, რომ სრულიად უმოქმედოდ არის, თვეში ორჯელ ან სამჯერ თუ ველოსიპედით ხალმე ფოსტას და ისიც შემთხვევით. ტელეგრაფიც ამ დღეებში—თითქმის მთელი კვირობით არის შეჩერებული და ვართ ქვეყანას მოწყვეტილნი; ფოსტის მოხელენი კი ბუზებივით ირევიან—10—12 კაცი, უსაქმურად დაიარებიან, იღებენ ტყუილ-უბრალოდ ჯამაგირებს და აზრადაც კი არ მოსდით, რომ თუ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზები აჩერებენ ფოსტა-ტელეგრაფის მოძრაობას, შეასწორონ და აამოძრაონ იგი. ეს შეადგენს პირდაპირ მათს მოვალეობას. აქაურ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში სრულიად საკმარისია 3—4 მოხელე და არა 10 კაცი, როგორც ეხლა არის. საჭიროა სასტიკი ყურადღება მიექცეს ამ კანტორის ნაკლულევანებას და დროზე შესწორდეს ყოველივე.

იხ—არი.

ქ ი ზ ი ყ ი.

ქიზიყს შესანიშნავ კუთხეთ სთვლიდნენ მთელ საქართველოში და ეძახდნენ „კაბეჩროვან" კუთხეს, მაგრამ ამ კაბეჩროვანმა კუთხემ დღეს გამოაჩინა სიდარბაისლე, შეგნება და სიყვარული თავის მოძმისა. საქართველოს სხვა კუთხეებივით ძმაძმის სისხლი არ დაღვრია, მამამ შვილისა და შვილმა მამისა. სხვა კუთხეებივით არ ჩაიდინა ბარბაროსობა, როგორც ქართლში, კახეთში და მთიულეთში და სხვ. მუშაობს დაუღალავად, იკრეფს თავის ნაშრომს. ამზადებს საკვებს როგორც თავის-თავისთვის, ისე სხვისთვისაც.

ქიზიყი სასოწარკვეთილებას მიეცა. დაჰკარგა იმედი მომავალ ცხოვრებისა. შემოესია დაუძინებელი მტერი ხოლერა. მუსრს ავლებს ხალხს და დამხმარე პატრონი კი არსაიდან სჩანს. მრავალი ავადმყოფია ხოლერით, მრავალი გარდაიცვლება წიაღსა შინა აბრამისასა. ვის მიჰმართონ? ვის სთხოვონ შველა? ვინ არის მათი პატრონი? არავინ. მიჰმართეს ექიმ მარჯანიშვილს დახმარებისათვის სადაც ჯერ არის, მაგრამ... მაგვარი ისაა, რომ ყველა სიღრმით ძილს მიეცა და ქიზიყი კი იღუპება. ერთადერთი იმედი ქიზიყისა არის ექიმი მარუაშვილი, რომელიც დაუღალავად მუშაობს ხოლერის წინააღმდეგ, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, „ერთი კაცი პურის ჭამაშიც ბრალია". ამხანაგი და დამხმარე ესაჭიროება ექიმ მარუაშვილს. ამასთანავე ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველი იარაღი და მედიკამენტები. მაგრამ მათი მიშველებელი და დამხმარე არსად სჩანს.

მივაქცევთ იმის ყურადღებას, ვისაც ეს შეეხება და ვთხოვთ, დაუყოვნებლივ შველას, როგორც მედიკამენტ-იარაღით, ისე ექიმ-ფერშლებით, თორემ რადგანაც საშინელი სენი ფეხს მოიკიდებს ხალხში, ყოველი ზომები და დახმარება ზედმეტი იქნება.

თამარ ცხვედი.

ქართული ფულის ფონდი

სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში მოიტანეს: პლატონ ქრისტეფორეს ძე აბულაძემ ერთი ოქროს ბეჭედი წონით 75 ნაწ., ვერცხლის ნატეხი წონით 1 გ. და 75 ნაწ. ხუთი სპილენძის პატარა ფული, ოთხი მედალი და სპილენძის ფული და ერთი უბრალო მედალი; დიმიტრი მიხეილის ძე მახატაძემ 55 მედალი (ხამასი წლ. იუბ.), 21 პატარა მედალიონები, ორი წითელი ჯვარის მედალი ძეწკვით და ბრელოკით—ვერცხლისა, 58 სხვა და სხვანაირი მედლები, 120 ბრინჯაოს მედალ-ბარტი, 1 იუბილეის ნიშანი მეფისორის და 12 სახმ. ნიშნები; კაპიტ. რაბაჩიცოვმა ანნა III ხარ. 1, ეგნ-მარომა ობრაზცოვმა ვლადიმერ IV მეოთხე ხარ. 1; სპარიძეთ გლახუმაძემ თეთრმზე მანეთიანი ოქროს ფული 1; სამი რუსული ვერცხლის მანეთიანი, ჩინეთის ნატეხი ოქროსი, ოთხი წვრილი მარგალიტი, ერთი ოსმალური ვერცხლის ფული და 8 ცალი წვრილი სპილენძის ფული. მიღებულია მიკელ დავით გულბაშვილის ოჯახისაგან ათი რუსული ვერცხლის მანეთიანი, ვერცხლის ჯვარი ძეწკვით და მედლით, ვერცხლის მტრედი, პატარა ვერცხლის ფულები, წონ. 66 მისხ. ვერცხლის საათის ბუდის ნახევარი, ერთი ვერცხლის აბაზიანი და სპილენძის ფული რუსული 8 მან. 48 კ., ანიჩკა და კალისტრატე იაკობაშვილებმა 8 მან. რუსული ვერცხლის ფული და 1 მ. და 41 კ. რუსული სპილენძის ფული; სტეფანე ფილიმონის ასულმა ხარიბეგაძემ რუსული ვერცხლის ფული 3 მან.; მელიტონ ალმასხანის ძე ფურცხვამ ერთი ვერცხლის ფულზე დასაკიდი მედალი; შტ.-როტმ. მუშნი ლეჟავამ სტანისლავის მესამე ხარ. ერთი და ერთი ოფიცრის გიორგის ჯვარი ოქროსი მეოთხე ხარისხის 1.

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობების გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირად:

თბილისიდან გავა:

			საათ.	წ.
ფოთისკენ	№ 28	დილის	7	50
„	№ 3	ღამის	10	30
ქუთაისისკენ	№ 9/10	საღამ.	7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის	11	10
„	№ 8	დილის	8	35
სანაინისკენ	№ 4/3ე	დილის	1	—

თბილისში მოვა:

ფოთიდან	№ 24	შუადღ.	12	47
„	№ 4	საღამ.	6	54
ქუთაისიდან	№ 11/12	დილის	6	53
განჯიდან	№ 3	საღამ.	4	30
„	№ 7	დილის	8	30
სანაინიდან	№ 4ე/3	დილის	11	—

თბილისის დროით.

ქალ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩაზე წითელ ხიდთან
გაიხსნა
ქირ. და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით
მწოლიარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს.
15—1739—1

მეორე ქართული კლუბი
„ახალი საქართველო"
(მიხეილის პროსპექტი № 129).
სამშაბათს 13 აგვისტოს
სინემატოგრაფი
1—995—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის კომიტეტის ბინა

კანცელარია იმყოფება „საქართველოს" რედაქციაში. კანცელარია ღიაა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, 11—2 საათამდის და 7—8 ს. სად. (ახალ დროთი.

1918 წ. ივლისის 25-დან ქ. თბილისში გამოდის მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი ოფიციალური განყოფილებით
„საქართველოს რესპუბლიკა"
გაზეთი ღირს 1 თვით 10 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 40 კ., სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
რედაქციის კანტორის მისამართი ქ. თბილისი ბარონის ქუჩა № 6.
რედაქტორი პ. დ. ხაჟუარიძე.

კვირას, 14 ივლისს 1918 წელს
გაიხსნა პირველი ხარისხის სასადილო
„საქართველო" ყოფილი „ამირანი"
პუშკინის ქუჩა, ძველი სემინარიის შენობაში
შენობა ახლად შეკეთებულია ცალკე კაბინეტებით
დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
სადილი შუადღის 12 ს.-დან საღამოს 5 საათამდე.
ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე.
სამზარეულო აზიური და ევროპიული, სასმელები კითდება
საუკეთესო მარნიდან საუკეთესო მზარ. ხელმძღვანელობით

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

თბილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს რომ საჯარო ვაჭრობით გაყიდვა უძრავი ქონებისა სესხის შეუტანლობის გამო დანიშნულია 1918 წ. აგვისტოში. დაწვრილებითი ცნობები დანიშნულია გაზ. „კავკაზის" 6 ივლისის № 138-ში

გ ა ი ხ ს ნ ა
თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალის კლინიკისა ჟენევში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციოები მიიღებიან სრულ პანსიონში.
ტელეფონი 5—97.

ე ქ ი მ ი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის ფილტვისა და სისხლის სპეციალისტი. მისამართი: ელისაბედის ქ. 7 სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ ბ. ბ. მაინარაშვილის და დ. ბ. ნაზარბეგიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და („კავკასიონ" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კირიაჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან ყოველთვის, 10—13-მდე უფასოდ.

ხმის—ნელთ კაბინეტის ექიმ
ალექსანდრე დავითის ძის
ქეკელიასი
იღებს შინაგანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნილ"-ს პირდაპირ
ტელეფონი 14—28.

მედიცინის დოქტორი მიუნხენის
უნივერსიტეტისა
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, სახსრების და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7, სომხების აფთიაქის გვერდზე.
2 თვ.—1658.

დოქტორი მედიცინისა
მიხეილ ანტონის ძე
გალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელ. № 17—21.

ე ქ ი მ ი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დაავადებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია და მასაჟი.
მისამართი: მთაწმინდის ქ. № 11.
ზემელის აფთიაქის მახლობლად.
—1586—49